ხელშეკრულება

№ G/2022/85

ქ. თბილისი 27 აპრილი 2022 წელი.

ერთი მხრივ ფიზიკური პირი ეკატერინე ქარდავა, (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორე მხრივ, სსიპ “საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ”, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარა წულეისკირის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის და "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე“ 1992 წლის 31 ივლისის ხელშეკრულების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის დავალების შესაბამისად უზრუნველყოს პროექტის ,,დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა რეგიონებში" ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვით (CPV 79416200).

1.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ მას გააჩნია შესაბამისი ცოდნა, კვალიფიკაცია და საჭირო უფლებამოსილება ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული შესყიდვის შესასრულებლად.

მუხლი 2. მომსახურების გაწევის ვადა

2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულება განასხვავებს „ხელშეკრულების მოქმედების ვადას“ და „სამუშაოს შესრულების ვადას“ .

2.2. . წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიცირებული ელ.ხელმოწერის ან კვალიფიცირებული შტამპის დადასტურებიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

2.3. მომსახურების გაწევის ვადა- ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

2.5. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ფაქტები დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერლი მიღება-ჩაბარების აქტებით.

მუხლი 3. შესყიდვის საგნის ღირებულება და მისი გადახდის პირობები

3.1. ,,მიმწოდებელი“ გაუწევს ,,შემსყიდველს“ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას.

ა) ქ. ოზურგეთი - 2 შეხვედრა

3.2 ხელშეკრულების სავარაუდო ღრებულება შეადგენს 385.00 (სამასოთხმოცდახუთი) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.3. შესყიდვა ხორციელდება ,,საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე“ ხელშეკრულების თანახმად პროექტი ,,დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა რეგიონებში" ფარდლებში და გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან.

3.4. ანგარიშსწორება მოხდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.5. ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. “შემსყიდველი” ვალდებულია:

4.1.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის საგნის ღირებულება ხელშეკრულებით და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

4.1.2. დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია, რაც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად სამუშაოს შესრულება;
4.1.3. გააცნოს მიმწოდებელს ყველა მოთხოვნა და პირობები, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულების საგნის თავისებურებიდან.
4.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
4.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული მომსახურების ხარისხი და მისი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან;
4.2.2. გამოთქვას მოსაზრებები მიმწოდებლის მომსახურებასთან დაკავშირებით და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მისცეს შესაბამისი ინსტრუქციები და შენიშვნები მათ აღმოსაფხვრელად;
4.2.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი დარღვევისას უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება
4.3. "გამყიდველი" ვალდებულია:
4.3.1. გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში;
4.3.2. შეასრულოს ხელშეკრულება სრული მოცულობით, სათანადო ხარისხით, ამ ხელშეკრულებით და დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
4.3.3. გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად;
4.3.4. დროულად აცნობოს შემსყიდველს ყველა იმ დოკუმენტისა და ინფორმაციის საჭიროების შესახებ, რაც საჭიროა მომსახურების სათანადო ხარისხით გაწევისათვის;
4.3.5. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყონებლივ და უსასყიდლოდ შეიტანოს ცვლილებები შესყიდვის საგანში.
4.3.6. არ გაახმაუროს ფაქტები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო, პირად, კომერციულ და პროფესიულ საიდუმლოებას, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას;
4.3.7. პერიოდულად მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია მომსახურების გაწევის შესახებ და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს იმ დროისათვის შესრულებული მომსახურება;
4.3.8. უზრუველყოს მიმწოდებლისთვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის საგნის მიწოდება.
4.4. " გამყიდველი" უფლებამოსილია;
4.4.1. მოითხოვოს გაწეული მომსახურების ანაზღაურება დროულად, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;
4.4.2. დროულად მიიღოს ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია მომსახურების შესრულებისათვის.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხისმგებელნი არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შერულებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5.2. მხარეები პასუხს აგებენ იმ მატერიალური თუ სხვა სახის ზიანისათვის, რომელიც გამოწვეული იქნება მეორე მხარესათვის წერილობითი შეთანხმების გარეშე კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებით.
5.3. მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების 2.3. მუხლით გათვლისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსლია დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 6. დავების გადაწყვეტა

6.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.
6.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშვება მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე ან მისგან გამომდინარე განიხილება და გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6.3. დავის არსებობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს და მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადავო საკითხისა.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
7.2. იმ შემთხვევაში როცა დაუძლეველი ძალის გარემოებების არსებობას ადგილი ქონდა 20 კალენდარული დღის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. ხელშეკრულებაში ცვილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან ცვლილება და დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი მხარეთა მიერ;
8.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან/და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს;
8.3. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
8.4. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ან პირობის გაუქმება, ბათილობა, შეწყვეტა არ გამოიწვენვს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას ან შეწყვეტას;
8.5 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.6. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება თუ იგი გადაცემულია პირადად, გაგზავნილია ფაქსით, დაზღვეული ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
8.7. იურიდიული მისამართის ან საბანკო ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან 3 (სამი) დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ;
8.8. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ს.კ. 202303765 ქ. თბილისი შ. დადიანის 2/1 ს/კ 202303765 სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22	ფ/პ ეკატერინე ქარდავა პ/ნ: 62006019604 ბანკი ,,საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE17BG 0000 0001 2683 4600
დირექტორი თამარა წულეისკირი	ეკატერინე ქარდავა

Ekaterine Kardava
Digitally signed by Ekaterine Kardava
Date: 2022.04.29 09:55:20

LEPL Information Center on NATO and EU
Digitally signed by LEPL Information Center on NATO and EU
Date: 2022.04.27 18:17:48 +04'00'